საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ალფაიძის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**13**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**15**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**20**
პროფესიული თვისებები	**12**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**10**	**10**
პროფესიული აქტივობა	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**70**	**100**

სახელი, გვარი: ლევან მიქაბერიძე

თარიღი: 26.06.2025

ლევან მიქაბერიძე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის თამარ ალფაიძის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევი პროცედურა, ამავე სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 16 მაისის №1/38 განკარგულებით, კანდიდატად დარეგისტრირდა თამარ ალფაიძე.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით გათვალისწინებული წესით, კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას გავეცანი სრულყოფილად.

ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

სახელი, გვარი: თამარ ალფაიძე
ასაკი: 46 წელი
განათლება: უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2001 წელი); დოქტორი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2005 წელი)
სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: 25 წელი
სამუშაო ადგილი: მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მასწავლებელი, თსუ; მოწვეული ლექტორი, წმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

აღნიშნული კრიტერიუმით შეფასებისას გათვალისწინებულია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;

გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;

პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა (35- მუხლის მე-4 პუნქტი).

მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის თავისუფალი აზროვნების სტილს, პროფესიული პრინციპებისადმი ერთგულებას, სამართლიანობას, გულისხმიერებას, კეთილშობილებას და სხვა დადებით თვისებებს. გამოკითხულთაგან ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, კანდიდატის საკმაოდ თავისუფალი აზროვნების, ადამიანებისადმი იმთავითვე დადებითად განწყობის სტილს. რეკომენდატორი აქვე უთითებს, რომ აღნიშნული არის თუ არა სისუსტე/ნაკლოვანება - თავად რეკომენდაციის წამკითხველმა განსაჯოს.

გამოკითხული რესპოდენტებიდან ერთ-ერთი კადიდატის პირად თვისებებს იცნობს საშუალოდ, მის პროფესიულ კვალიფიკაციას - კარგად. მეორე რესპოდენტი კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ კვალიფიკაციას იცნობს საშუალოდ. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ერთ-ერთ შემთხვევაში უჭირთ შეფასების გაკეთება. კომპეტენტურობის კრიტერიუმით ერთი რესპოდენტი კანდიდატს აფასებს ზოგიერთ შემთხვევაში კარგად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში უჭირს შეფასება. მეორე რესპოდენტი კი აფასებს ძალიან კარგად ან კარგად, ერთ შემთხვევაში - მინიმალურად.

კანდიდატი სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებს საკუთარ მოვალეობებს. კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არის რეგისტრირებული; (თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მოანცემებზე დაყრდნობით, სტატუსი შეჩერებულია, თუმცა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებით, სტატუსი აქტიურია).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თამარ ალფაიძეს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით

გათვალისწინებული სამართალდარღვევის რვა ფაქტი (დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, კანდიდატის სახელზე შედგენილია ათი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი (ყველა მათგანი გადახდილია დროულად).

მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელს.

დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა (35[1] მუხლის მე-5 პუნქტი).

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით თამარ ალფაიძე მისი მახასიათებლებიდან გამომდინარე, აღჭურვილია დამოუკიდებლობის თვისებით. იგი მიუკერძოებელია და მკაცრად იცავს ამა თუ იმ საკითხზე საკუთარ პოზიციას. როგორც ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, მისი ცხოვრებისეული ეტაპები სწორედ სამართლიანობისათვის მოღვაწეობაა.

კანდიდატი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი, თუმცა კანდიდატი 2019 წლის შუალედურ არჩევნებში იყო დამოუკიდებელი კანდიდატი მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობისათვის.

გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიკერძოებულობის ნიშნები არ გამოკვეთილა.

მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებელს.

პიროვნული და პროფესიული ქცევა

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა (35[1] მუხლის მე-6 პუნქტი).

თამარ ალფაიძე საჯარო მოსმენის პროცესში იყო კორექტული, უჭირდა ემოციების მართვა და ცდილობდა მისთვის მისაღები წესებით პროცესის წარმართვას. მოძიებული

ინფორმაციის მიხედვით, კანდიდატი მონაწილეობდა მხარედ ორ ქონებრივ-სამართლებრივ დავაში (ორივე საქმის წარმოება დასრულებულია). დაზარალებულად იყო ცნობილი სისხლის სამართლის საქმეზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელს.

პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა (35[1] მუხლის მე-7 პუნქტი).

რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. იგი სარგებლობს კარგი მორალური და პროფესიული რეპუტაციით როგორც კოლეგებში, ასევე ზოგადად იურიდიულ წრეებში. მას გააჩნია იურიდიულ სფეროში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება, გააჩნია კარგი ავტორიტეტი ამ სფეროში მოღვაწე მასთან პროფესიულ ურთიერთობაში მყოფ პირებში.

თამარ ალფაიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობასთან, საკანონმდებლო ინიციატივებთან და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატობასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელს.

დასკვნა კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ცალკეული მახასიათებლების შედეგების გათვალისწინებით, თამარ ალფაიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

აღნიშნული კრიტერიუმით შეფასებისას გათვალისწინებულია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლები:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
დ) პროფესიული თვისებები;
ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ვ) პროფესიული აქტივობა;

სამართლის ნორმების ცოდნა

სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მის მიერ ცოდნის დონე (35[1] მუხლის მე-9 პუნქტი).

საჯარო მოსმენისას საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს სამართლებრივი შეკითხვები სამართლის სხვადასხვა დარგიდან, თუმცა, ვინაიდან კანდიდატმა ძირითად შემთხვევაში თავი შეიკავა ან უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე შეუძლებელია იმის დადგენა თუ რამდენად კარგად და სიღრმისეულად იცნობს კანდიდატი სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობას, მიუხედავად მისი სამეცნიერო ნაშრომების არსებობისა. ფაქტობრივად კანდიდატს არ უსაუბრია დასმული შეკითხვების ირგვლივ და თავს იკავებდა პასუხის გაცემაზე. კანდიდატმა ვერ შეძლო საუბარი სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებთან დაკავშირებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან დაკავშირებით. გაუჭირდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ საუბარი, ასევე განრიდებასა და ვიქტიმიზაციასთან დაკავშირებით. კანდიდატმა არ ისაუბრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლზე და მნიშვნელობაზე.
კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე მოძიებულ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი უნდა შეფასდეს - 13 ქულით.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება (35[1] მუხლის მე-10 პუნქტი).

მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, კანდიდატს გააჩნია საკმაოდ ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება.

კანდიდატმა წარმოდგენა სამართლებრივი ნაშრომები: „მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება"; „სამართლისა და მორალის ევოლუცია"; „ჰუმანური სამართალი, სამართლის ჰუმანური პრინციპები" და სხვა.

მას აქვს სხვადასხვა სფეროში და თანამდებობაზე მუშაობის 25 წლიანი პროფესიული გამოცდილება. საჯარო მოსმენისას კანდიდატმა ვერ გამოავლინა სამართლებრივი ნორმების ცოდნის სათანადო დონე, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს მძიმე ემოციური ფონით, რის შესახებ თავად კანდიდატმაც აღნიშნა.

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო გამოსვლისას კანდიდატს არ წარმოუჩენია საკუთარი შესაძლებლობები, წარმოდგენილი სტატიებისა და პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით, კანდიდატი უნდა შეფასდეს - 15 ქულით.

წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი:

წერის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ წერილობითი აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, დიალოგი, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა (35[1] მუხლის მე-11 პუნქტი).

როგორც რეკომენდატორები უთითებენ, კანდიდატი სრულყოფილად ფლობს წერის უნარს. წერის დროს გადმოსცემს მისეულ პოზიციას. კანდიდატის წერის უნარის ყველაზე თვალსაჩინო და უტყუარი დადასტურებაა მისი სამეცნიერო ნაშრომები. ნათლად და გასაგებად შეუძლია საკუთარი მოსაზრების გადმოცემა. აქვს სამართლებრივი ლექსიკის ადეკვატურად გამოყენების უნარი. შეუძლია ლოგიკურად მსჯელობა და აზრის გასაგებად და დამაჯერებლად გადმოცემა. რაც შეეხება ზეპირი კომუნიკაციის უნარს, კანდიდატს შეუძლია აუდელვებლად მოისმინოს სხვისი, მათ შორის, განსხვავებული აზრი, თუმცა ასეთივე აუდელვებლად ვერ ახერხებს დაასაბუთოს და გადმოსცეს საკუთარი პოზიცია. გამოკითხული პირები უთითებენ, რომ თამარ ალფაიძეს გააჩნია კარგი კომუნიკაციის უნარი, მათ შორის მოსმენისა და კამათის კულტურა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანდიდატი უნდა შეფასდეს - 15 ქულით.

პროფესიული თვისებები:

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა (35[1] მუხლის მე-12 პუნქტი).

რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატს აქვს თავისუფალი აზროვნების უნარი და პიროვნული დამოუკიდებლობა. არის მაღალი ზნეობრივი და მორალური თვისებების მქონე, ასევე პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პიროვნება.

საჯარო მოსმენის ფარგლებში გამოვლენილი უნარების გათალისწინებით, ასევე წარმოდგენილ ნაშრომებზე დაყრდნობით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი უნდა შეფასდეს - 12 ქულით.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის

პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა (35[1] მუხლის მე-13 პუნქტი).

მოძებნული ინფორმაციის მიხედვით, კანდიდატი სამართლის დოქტორია და სხვადასხვა უნივერსიტეტში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. მათ შორის, 2022 წლიდან - დღემდე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეკომუნიკაციების კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი, ასევე 2024 წლიდან - დღემდე არის მოწვეული ლექტორი, წმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი უნდა შეფასდეს 10 ქულით.

პროფესიული აქტივობა

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება და სხვა (35[1] მუხლის მე-14 პუნქტი).

კანდიდატი არის სამეცნიერო ნაშრომების ავტორი: მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები, თსუ, 2006 წელი; მედია სამართალი, თამარ ალფაიძე, პოლიგრაფ თბილისი, 2008 წელი; შესავალი სამართალმცოდნეობაში, თამარ ალფაიძე, პოლიგრაფ თბილისი, 2009 წელი; სამართალმცოდნეობის შესავალი (მეორე გამოცემა), თამარ ალფაიძე, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 2015 წელი და სხვ.

მონაწილეობდა სხვადასხვა ტრენინგებსა და შეხვედრებში: JUSTICE - ჰარვარდის უნივერსიტეტი - 2014 წელი; International Human Rights - University de Catolique 2014 წელი; ტრენინგი The center for global communication studies at the annenberg schcool for communication, university of pensilvania, 2012 წელი; ტრენინგი- training on media regulations, 2011 წელი; AI Regulation A Micro Course for Lawyers, Neiron ACADEMY, 2021 წელი და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი პროფესიული აქტივობის მახასიათებლით უნდა შეფასდეს - 5 ქულით.

დასკვნა კანდიდატის კომპეტენტურობის შესახებ

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე, კანდიდატ თამარ ალფაიძეს ვაფასებ - 70 ქულით.

ლევან მიქაბერიძე

თარიღი: 26.06.2025წ.